საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/49

ქ.თბილისი

"23" ოქტომბერი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N6/19 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27², და 63–ე მუხლების, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის დადგენილების მე-19 მუხლის მე–9 პუნქტის, აგრეთვე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების" მე–6 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატში კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N6/19 ბრძანებაში (შემდგომში „ბრძანება") შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. კომისიაში შემოსულ კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე დაშვებულ იქნან კომისიის აპარატში დასაქმებული შემდეგი უფლებამოსილი პირები:
ა) იოსებ ხარებავა – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი;
ბ) ნინო ჯავახიძე – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმის წარმოების ჯგუფის საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი;
გ) თეონა დანელია – კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმის წარმოების ჯგუფის საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი;
დ) პავლე ბერია – კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მ.შ.;
ე) ეკატერინე ჭახრაკია – კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ვ) ქეთევან რეხვიაშვილი – კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
ზ) არჩილ მაკარიძე – კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტი;
თ) თამარ მარღანია – კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მონაცემთა სიზუსტისა და ხარისხის მართვის წამყვანი სპეციალისტი;
ი) ივანე მახარაძე – კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;
კ) კონსტანტინე ქორიძე – კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების წამყვანი სპეციალისტი;
ლ) დავით გოგიჩაიშვილი – კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

მ) ირმა დეკანოსიძე – კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზისა და კვლევის მთავარი სპეციალისტი;
ნ) მერაბ კანკავა – კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზისა და კვლევის მთავარი სპეციალისტი;
ო) ნინო შუბითიძე - კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის მომსახურების დანახარჯებისა და ტარიფების დადგენის მთავარი სპეციალისტი;
პ) ირინა ვერძეული – კომისიის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;
ჟ) მიხეილ ჯღამაძე - კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
რ) დავით ქუთათელაძე – კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურისა და ქსელების მთავარი სპეციალისტი;
ს) მაია ქადეიშვილი - კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი;
ტ) ალექსანდრე ღლონტი – კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
ი) ირაკლი კირკიტაძე – კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის პროგრამისტი";

2. ბრძანება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური